დინამოელები ინარჩუნებენ ლიდერობას

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 3 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – ასკ (დონის როსოტივი) 4:1 (3:0).

“დინამო”: გაბელია (მამინაშვილი), კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია, ჭილაია, მინაშვილი, გუცაევი (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია.

ასკ: რადაევი (კუშნარიოვი), გონჩაროვი, ანდრიუშენკო (გამულა), იაშინი, ზუევი, ლაკტიონოვი, ვ. კუზნეცოვი, ანდრეევი, ა. კუზნეცოვი, ზავაროვი, ვორობიოვი.

მსაჯი: ვ. ლუშინი (მოსკოვი).

ჩვენ კარგად გვახსოვს როსტოვის არმიელთა ბოლო წლების მაჩვენებლები. გუნდი საკმაო ხანს პირველ ლიგაში გამოდიოდა, შემდეგ, როგორც იქნა, მიაღწია საწადელს და 4 სეზონის “შესვენების” მერე დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას, თუმცა შარშან ძლივს გადარჩა უკან დაბრუნებას – 18 გუნდს შორის მხოლოდ მე–15 ადგილი დაიკავა.

მაგრამ ეს იყო შარშან, ახლა კი ვითარება მკვეთრად შეიცვალა. როსტოვის არმიელებმა რამდენიმე ძლიერი მოთამაშე დაიმატეს, გუნდი სულ სხვა, ენერგიულ, მობილიზებულ ანსამბლად შეიკრა და 3 ივნისისთვის III-IV ადგილებს იყოფდა კიევის “დინამოსთან” ერთად, თანაც ხულ რაღაც 1 ქულით ჩამორჩებოდა ლიდერს – თბილისის “დინამოს”.

ეს გარემოება თავისთავად უჩვეულოდ მაღალ რანგში წარმოგვისახავდა თბილისის “დინამოსა” და როსტოვის ასკ–ს გუშინდელ შეხვედრას და საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა მას. ამას გარდა, საინტერესო იყო კიდევ ერთი რამ: როგორ ითამაშებდა თბილისში მიმდინარე ჩემპიონატის ერთპიროვნული სნაიპერი ს. ანდრეევი, რომლის ანგარიშზე ყველაზე მეტი, 9 გატანილი ბურთი მოდიოდა? (შეგახსენებთ, რომ ანდრეევი შარშანდელ ჩემპიონატშიც საუკეთესო ბომბარდირთა შორის ირიცხებოდა 17 გოლით).

პირდაპირ უნდა ითქვას – ანდრეევმა ვერაფერი თამაში აჩვენა თბილისში და არსებითად ყველაზე პასიური ფეხბურთელი იყო როსტოველთა შორის. დინამოელთა დაცვის წინაშე სნაიპერმა პირწმინდად დაკარგა ყველა თავისი თვისება და ნამდვილ ბალასტად იქცა გუნდისთვის. გაცილებით უფრო გამოირჩეოდნენ ზავაროვი, ვორობიოვი, ე. კუზნეცოვი.

თბილისელებმა საოცრად იოლად, ძალდაუტანებლად, დიდი უპირატესობით მოიგეს მატჩი ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთან, რომელიც სულ ერთი ქულით ჩამორჩებოდა მათ. საკმარისი იყო მასპინძლებს აემაღლებინათ ტემპი, ჩაერთოთ სრული სიმძლავრე და როსტოველთა მთელი გუნდი თავდასაცავად იხევდა უკან, ამასთან ვერაფრით უმკლავდებოდა ყიფიანს, შენგელიას, ჩელებაძეს, დარასელიას. იყო ერთ პერიოდი პირველი ტაიმის შუაგულში, როცა სტუმრებმა სცადეს კონტრშეტევის შექმნა, მაგრამ “დინამოს” დაცვა ჩივაძისა და ხინჩგაშვილის მეთაურობით მათთვის გაუვალ ზღუდედ იქცა.

ანგარიში მე–7 წუთზე გახსნა ჩელებაძემ, რომელმაც თავით ზუსტად გაგზავნა ძელიდან უკუგდებული ბურთი რადაევისგან შორეულ კუთხეში – 1:0. შემდგომი გოლი კარგა ხანს არ ჩანდა, მაგრამ საკმარისი იყო ტაიმის დასასრულს დინამოელებს კვლავ გაეძლიერებინათ ტემპი, რომ როსტოველთა მეკარეს ზედიზედ ორჯერ

მოუხდა ბურთის გამოტანა ბადიდან შენგელიას ზუსტი დარტყმების შემდეგ (41–ე და 44–ე წუთებზე).

მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, ინიციატივას კვლავ თბილისელები ფლობდნენ და ერთ–ერთი მათი იერიშისას, 72–ე წუთზე, ყიფიანმა უაღრესად ზუსტი გადაცემით საგოლე პოზიციაში გაიყვანა დარასელია. ადრესატმა წამსვე გამოიყენა თავისი შანსი – 4:0.

და მხოლოდ მაშინ, როცა მატჩის დასასრულს ერთ წუთი აკლდა, მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებულ ბურთს თავით მარჯვედ შეურჩია მომენტი ვორობიოვმა – 1:4.

თბილისის დინამოელთა მიერ დიდი ანგარიშით მოგებული მატჩი სავსებით შეესატყვისება ძალთა შეფარდებას მინდორზე.

ო. ჯებაშვილი, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილე, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

“ლელო”, 4 ივნისი, 1980 წ.